№ 161

ოთხშაბათი, 29 ივლისი, 1898 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 161

ოთხშაბათი, 29 ივლისი, 1898 წ.

რედაქცია:

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**ვასილ ზაქარიას ძე ხანდამიშვილი და მარიამ მიხეილის ასული ხანდამიშვილისა შვილებითურთ** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 30 ივლისს, მეორმოცე დღეს, გარდაცვალებულის

**კონსტანტინე ვასილის ძის ხანდამიშვილის**

სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი ავლაბრის წმ. პეტრე-პავლეს ეკკლესიაში, წირვა დაიწყება დილის 9 საათზედ. (1—116—1)

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებისა და ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში

**ბუნება და ცხოვრება**

ილ. ალ ხაზიშვილისა

**ფასი 60 კაპ.**

ვინც ზემოხსენებულ მაღაზიებიდგან დაიბარებს არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა 48 კ. ათის ცალის გაგზავნა ღირს 37 კ. (20—84—16)

**მაჩხაანის მომხმარებელ საზოგადოების დეპოს** გამგეობა სთხოვს დეპოს წევრებს მობრძანდნენ სოფ. ქვემო-მაჩხაანში აგვისტოს 2 ს, კვირას, დილის 8 საათზედ, დეპოს დარბაზში წლიურ კრებაზედ დასასწრებლად.

ს ა გ ა ნ ი კ რ ე ბ ი ს ა:

1, დეპოს ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;

2, სხვა-და-სხვა ღონისძიებათა დასახელება დეპოს წევრთა და მუშტართა გამრავლებისათვის და თანხაალებ-მიცემობის გაძლიერებისათვის;

3, მომავალის წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა და სამოქმედო გეგმის განხილვა;

4, შარშანდელ კრებისაგან ამორჩეულ კომისიის დადგენილებათა მოსმენა და დამტკიცება;

5, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა ამორჩევა;

6, მოხსენება სოფლის მეურნეთა სხვა-და-სხვა ჰირნახულის სამაზრო ამბარ-საწყობთა დაარსების შესახებ.

დეპოს გამგეობა: დ. ნადირაძე, დ. ჯავახიშვილი, ი. გომელაური (3—6.—2)

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

**ვ. მ. მახვილაძე.**—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; არიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

# მოწოდება

მართლმადიდებელ მსოფლიო ეკკლესიის ქრისტეს მიერ საყვარელნო შვილნო!

ქალაქ ტფილისადგან ჩრდილოეთით ოცის ვერსის მანძილზედ, სწორედ იმ ალაგას, სადაც მდინარე არაგვი ერთვის მდინარე მტკვარს, გაშენებულია მცხეთა, ოდესმე სახელოვანი დედა-ქალაქი, ქართველ მეფეთა და პატრიარქ-კათალიკოზთა სამყოფელი ალაგი, ხოლო აწ მწირი და უპოვარი სოფელი, მიმზიდველი ადამიანის ყურადღებისა იმით-და, რომ მის შუა გულში აღმართულია ქრისტიანული სიძველის დიდი ნაშთი, წმიდათა ათორმეტთა მოციქულთა საკრებულო ტაძარი, რომელსაც ქართველები უწოდებენ სვეტი-ცხოველს. სვეტი-ცხოველი წარმოადგენს ქართველთა წმიდა ემბაზს, მათს დიდებასა და სიამაყეს, მათ შეურყეველ მართლ-მადიდებლობის მოწმეს; იგია საქართველოს მრავალ მეფეთა და კათალიკოზთა განსასვენებელი და უძველესი ალაგი, სადაც ინახებოდა ისეთი უდიდესი სიწმიდე ქრისტიანობისა, როგორიც უკერავი კვართია უფლისა.

აღნიშნული საუნჯე (კვართი უფლისა), ღვთის სამოსლის გაყოფის შემდეგ მაცხოვრის ჯვარცმაში მონაწილეთა შორის, ერგო მცხეთელ ურიას ელიოზს, რომელმაც მოიტანა იგი მცხეთაში თავისის იერუსალიმიდგან დაბრუნების შემდეგ.

და ელიოზისა, მართალი სიდონია, აღძრული ღვთის შთაგონებით, სწრაფად გამოეგება სახლში მომავალ ძმას, გამოსთხოვა უკლებლად უბიწო მარიამ ქალწულის ხელით ნამუშავარი კვართი ქრისტესი, გამბორა ვითარცა უდიდესი სიწმიდეს და ღრმა სასოებით შეიტკბო იგი თავისს ქალწულებრივს მკერდს. გარნა საკვირველ არს ღმერთი საქმეთა შორის თვისთა! სიდონია, შემდეგ კვართის მიღებისა, მეყსეულად მიიცვალა და რადგან შეუძლებელი გახდა საკვირველის სამოსლის მის ხელთაგან გამორთმევა, იგი დამარხეს ხსენებულ სამოსლითურთ. სასწაულის აზრი ცხად იქმნა მხოლოდ დიდის ხნის განვლის შემდეგ: ადგილი მაცხოვრის კვართის დაკრძალვისა აღმოჩნდა ღვთის მიერ განმზადებულად საქართველოში პირველ ქრისტიანულ სამლოცველოს აღსაშენებლად. უკველივე ესე განცხადდა ივერიის განმანათლებელის, მოციქულთა სწორის, ქალწულის ნინოს დროს, როდესაც წმიდა ემბაზიდგან მის მიერ აღმოშობილმა მირიან მეფემ თავისს წალკოტში მართალის სიდონიას საფლავზედ ააშენა ეკკლესია წმიდათა დიდებულთა ათორმეტთა მოციქულთა სახელობაზედ. ამ ხელ და ხელ აშენებულ ხის ეკკლესიის მაგივრად, მეხუთე საუკუნეში, ვახტანგ გორგასლანის დროს, აგებ საკმაოდ მოზრდილი ქვითკირის ეკკლესია, რომელიც შემდეგში გახდა პატრიარქ-კათალიკოზების კათედრად. რვაას წელიწადზედ მეტი იდგა უვნებლად ეს ეკკლესია და მხოლოდ 1318 წელს დაანგრია იგი საშინელმა მიწის-ძვრამ. ამავე ალაგას ააშენა დიდებული ტაძარი გიორგი VI, ბრწყინვალედ წოდებულმა, და საბოლოოდ გაამშვენა იგი ალექსანდრე I-მა მეთხუთმეტე საუკუნეში. იმ დროდგან მოკიდებული დღევანდლამდე სვეტი-ცხოვლის სასტიკად შეხამებული ფორმები, საოცარი გუმბათი, ხელოვნურის თლილის ქვის სახურავი, საოცნებო გაბედულობით გადაყვანილი თაღები და ქანდაკები კედლებისა, აკვირვებდნენ და აკვირვებენ მნახველს, იწვევდნენ და იწვევენ ყველას გულში ღვთის დიდების აზრსა და ქედს ახრევინებდნენ ამ საღმრთო სალოცავის წინაშე იმ გვარ ქრისტიანობის მტარვალთაც-კი, როგორიც იყო შაჰ-აბბას მარველი.

სამწუხაროდ, ტაძარი ესე გადარჩენილი მტერთა რისხვას, ვერ გადურჩა ჟამის შემმუსვრელს დროს: სამხრეთის მზის მძლავრთა სხივთა, მწვავ გრიგალისა და ხშირი წვიმების მავნე გავლენის მიზეზით სრულიად დაძველდა და გამოიქარა სახურავის ლომფინი და ვეღარ იჭერს წყალს, რის გამო სინესტე ატანს გუმბათის შიგნავან. ულამაზე და უბრალო ქვისაგან გასაოცარის ხელოვნებით გადაქმნილნი თაღები, რომლებიც იმაგრებს გუმბათს და სახურავს, ყოველ წამს ჩამოწოლას ჰლამის. გამოიქარა ამასთანავე ის თლილი ქვა, რომელიც შეადგენს ტაძრის კედლების გარეთა პირს და თან და თან იღუპება იმის მდიდარი ორნამენტიკა, რომელიც შეადგენს ქართული საეკკლესიო ხუროთ მოძღვრების დამახასიათებელს კუთვნილებას; განქრა სრულებით კედლებზედ მხატვრობა al fresco, რომლითაც სავსე იყო სვეტი ცხოველი ძირიდგან ზემომდე; ამ ხმატვრობის მცირედი და კვალი სამხრეთ კედლის ნაწილზედ და დიდებული სახე მაცხოვრისა საკურთხეველში უმეტ-ნაკლებოდ ასურათებენ იმ სავალალო მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფება დღეს ხსენებული ტაძარი.

საქართველოს ეკკლესიის ექსარხოსნი, რომელთაც ეხლა უჭირავთ მიტროპოლიტთა ტახტი, ყოველ ღონისძიებასა ხმარობდნენ, რომ გადაერჩინათ ტაძარი სრულს დარღვევასა და ჰფიქრობდნენ შემდეგისთვის მისს აღდგენას პირვანდელის სახით, მაგრამ ამ საღმრთო აზრის განხორციელება თხოულობს დიდძალს ფულს: მცოდნე კაცთა გამოანგარიშებით ტაძრის შესაფერ შეკეთებას დასჭირდება 200,000 მანეთამდე და ტაძარი-კი არსაიდგან არა მოეპოვება-რა. რადგანაც ტაძრის აღდგენისათვის გამოანგარიშებულ ფულის შეგროვება ადგილობრივ დიდათ საძნელო გახდა, ხოლო ტაძარს, როგორც საჩინო მეგლის, დიდი მნიშვნელობა აქვს საქრისტიანო ქვეყნიერობისთვის, ტფილისში დაარსებულმა კომიტეტმა უწმიდესისა და უმართებულესი სინოდის შუამავლობით სთხოვა მისს იმპერატორობით უდიდებულესობას ნება-რთვა მთელს იმპერიაში ფულის შეგროვებისა აღნიშნულ საგნისათვის. კომიტეტის თხოვნა შეწყნარებულ იქმნა და გამოიცა ყოვლად უმოწყალესი ნება-რთვა ფულის მოგროვებისა მთელს იმპერიაში. ამისთვის კომიტეტი მიჰმართავს მართმადიდებელ მსოფლიო ეკკლესიის თვითოეულს შვილს და სთხოვს ძმურს შეწევნა-დახმარებას.

მწყემსნო და მასწავლებელნო მართმადიდებლის ეკკლესიისანო, რომელნიც მარად დღე აღავლენთ ღვთისადმი ლოცვას, „რათა მან წმიდა ჰყოს მოყვარენი სახლისა მისის შვენიერებისანი“, ყოველის წოდების და მდგომარეობის მართლმორწმუნენო, მუშაკნო მართლმადიდებლობის განმტკიცებისათვის სიტყვითა და საქმით, ქრისტეს მოყვარე მხედრობავ, მდგომარენო სახმილავსა ზედა სარწმუნოებისა, ტახტისა და მამულისასა, მსყიდველნო და გამსყიდველნო, რომელთა გიყვართ და ხელს უწყობთ ყოველს კეთილს და ღვთის სათნო საქმეს, მართლმადიდებელნო ქრისტიანენო სრულიად ივერიისანო, ყველას ერთად მოგმართავთ კომიტეტი და გულ-მოდგინედ გევედრებათ უფლისა იესო ქრისტესი და მისთა ათორმეტთა მოციქულთა სახელით შესწირეთ, ვისაც რა შეგიძლიანთ, სახელოვანის სვეტი-ცხოვლის აღდგენის საქმეს. შეწირულებანი შეიძლება გაიგზავნოს ქ. ტფილისს სინოდის საქართველოს კანტორაში.

თავმჯდომარე კომიტეტისა, საქართველოს ექსარხოსი, მთავარ-ეპისკოპოსი **ფლაბიანე.**

თავმჯდომარეს ამხანაგი **ლეონიდი** ეპისკოპოსი გორისა.

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძა კავკასიის სამხედრო ოლქის საინტენდანტსტვო სამართველოს სტოლის უფროსის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელს ტატიშვილს—გუბერნსკი სეკრეტრობა და ნოვოროსიის სასურსათო საწყობის ზედამხედველს თავ. ფალავანდიშვილს—გუბერნსკი სეკრეტრობა.

დანიშნულ იქმნა: თავ. მიხეილ გედევანიშვილი ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს კანცელარიის მოხელედ; მღვდლის შვილი ორესტ ნაკაშიძე—ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად; გლეხის შვილი გრიგოლ სვანიშვილი—ტფილისის საქალაქო საფოსტო განყოფილების ფოსტალიონად; ანანურის საფოსტო განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი ალექსი რცხილაძე—თარსაჩაის საფოსტო განყოფილების უფროსად.

გადაყვანილ იქმნა მურომსკის მე-21 ქვეითა რაზმის პოდპოლკოვნიკი იოსელიანი—სამეგრელოს გრენადერთა მე-16 რაზმში.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან დუშეთის სამაზრო საპოლიციო სამმართველოს შტატს გარეშე მოხელე, კოლლეჟსკი სეკრეტარი იასონ ცანავა, თავისისავე თხოვნის თანახმად.

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ ადიუტანტი გ. ს. გოლიცინი დღეს, 29 ივლისს, დილით ტფილისს ჩამობრძანდება და ნაშუადღევის პირველ საათზედ მიიღებს, ვისაც-კი რამ სათხოვარი საქმე აქვს.

*** ის მისსია, რომელიც ჩვენმა მთავრობამ დანიშნა სპარსეთში წასასვლელად მღვდელ მონაზონის თეოფილაქტეს უფროსობით, ურმიაში მცხოვრებელ აისორების მართლმადიდებელ ეკკლესიასთან შემოსაერთებლად, დღეს, 29 ივლისს, ერევან-ჯულფის გზით სპარსეთს გაემგზავრება.

*** ქალაქის გამგეობამ დაადგინა უფასოდ მიეცეს წყალი ტფილისის ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებას გზების მოსარწყავად. ამ საზოგადოებას გზების მოსარწყავად დაუმზადებია საგანგებო ვაგონი, რომელიც ლიანდაგსა ჰრწყავს თურმე.

*** ხელოსანთა მოურავს სერობიანცს ბ ნ გუბერნატორისთვის მიურთმევია საჩივარი, რომ ხელოსანთა კრების დადგენილებას, რომლის ძალითაც ნახევრამდე დამიკლეს ჯამაგირი, უკანონოდ ვსთვლიო. ვიდრე იმისს საჩივარს განიხილავენ და გამოიძიებენ, ხელოსანთა გამგეობის მსახურნი უჯამაგიროდ უნდა იყვნენ. ამას გარდა, სერობიანცი

ადარც მოწმობას აძლევს ხელოსნობისას არავის. მრავალნი ტფილისს ჩამოსულან გამოსაცდელად და მოწმობის მისაღებად ბაქოსა, განჯასა და ერევნიდგან და ტყუილად იხარჯებიან და დროსა ჰკარგავენ ტფილისში. ამას გარდა, სახელოსნო გამგეობა სერობიანცის საჩივრისა გამო ამქრებს არ აძლევს ხელოსანთა ხმოსნების დადგენილების პირს, რომ ხელოსანთა შორის მოსაკრები გარდასახადი გაანაწილონ.

*** დღეს მარტყოფის მამა ანტონის მონასტრიდგან ტფილისს ჩამოვა ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორად ნამყოფი არქიმანდრიტი მამა სერაფიმი, რომელიც ეპისკოპოსად არის დანიშნული, და ამ დღეებში ტფილისიდგან პეტერბურგს წავა, სადაც იგი იქნება ხელწოდებული და ხელ-დასხმული ეპისკოპოსად.

*** ქალაქის გამგეობამ მისწერა ტფილისის ცხენის რკინის გზების უსახელო საზოგადოებას, რომ ვარანცოვის ხიდზედ მოსიარულე ვაგონებს მოუმატეთ; აგრეთვე ყოველ დღე დილის საავარაკო მატარებლების მოსვლის დროს $7^1/_2$ საათზე რკინის გზის სადგურზედ, ერთის ვაგონის მაგივრად, სამი ვაგონი გაგზავნეთო, რადგანაც ჩამოსულ ხალხს ერთი ვაგონი არა ჰყოფნისო.

*** მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინადადებისამებრ შავის ზღვის პირის გუბერნიაში ჯაიათსა და ციხის-ძირს შუა გადადებულ იქმნა განსაკუთრებული მამული საუკეთესო მცენარეულობის გასაშენებლად. ეს მამული რამდენსამე ნაწილად იქმნება დაყოფილი და გრძელ-ვადიანის იჯარით გადაეცემათ კერძო კაცთ.

*** მთავარმართებლის კანცელარიამ ამ დღეებში დაუგზავნა კავკასიის გუბერნატორებსა და ზაქათალის ოლქის უფროსს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება, რომლითაც განმარტებულია, რომ ისინი, რომელნიც პენსიას იღებენ ავადმყოფობისა გამო შემცირებულის ვადით, პენსიის მიღების უფლება ჩამოერთმევათ მაშინ, როდესაც სამსახურში შევლენო. რადგან ქალაქის თვით მმართველობის მოხელეთ ჯამაგირები ეძლევათ ქალაქის შემოსავლის მიხედვით და მხოლოდ ოთხის წლით, ამიტომ ქალაქის თვით-მმართველობის მოხელეთ არ ჩამოერთმევათ პენსიის მიღების უფლებას.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს მომავალ აგვისტოდგან თითონ იკისროს ქალაქის განათების საქმე. ამ აზრით ქალაქის გამგეობა შეუდგა ქალაქის ფარნების სიის შედგენას და იმის გამორკვევას, თუ რომელი ფარანი გამოდგება, რომ ისევ დატოვებულ იქმნას და რომელი უნდა გამოიცვალოს. ამასთანავე გამგეობა პირობით შეეკრა შუმახერის ამხანაგობას, რომელმაც უნდა აძლიოს ქალაქს საჭირო ნავთი. ამ ხელ-შეკრულების ძალით ქალაქს ფუთი ნავთი დაუჯდება 1 მან. 7 კაპ.

*** ქალაქის გამგეობამ შეიმუშავა საერთო პირობები ხელ-შეკრულებისა, რომლის ძალითაც შეიძლება იჯარით გაიცეს ტფილისის ცხენის რკინის გზის წარმოება. გამგეობის ცნობებიდგანა სჩანს, რომ საფრანგეთის ამხანაგობის წარმომადგენელს ყაზბეგს ჰსურს ქალაქს წარუდგინოს ახალი პირობები და ამასთანავე აცხადებს, რომ ამხანაგობამ ტფილისში გამოჰგზავნა ინჟენერი, რომელიც გაიცნობს ტეხნიკურს მხარეს არსებულ ცხენის რკინის გზის წარმოებისას და გასაყვან გზების პროექტს შეადგენსო. ბ-ნს ყაზბეგს განზრახვა აქვს ახალი პირობები წარუდგინოს ქალაქის გამგეობას 15 აგვისტოს. ამას გარდა, გამგეობასთან მოლაპარაკება დაიწყო ორმა სხვა ამხანაგობამ, საფრანგეთისამ და პეტერბურგისამ. მაგრამ გამგეობა მაინც ემზადება, რომ თუ ქალაქმა გამოისყიდა ცხენის რკინის გზა, თვით დაიწყოს გზის წარმოება 25 ოქტომბრიდგან. გამგეობამ მოილაპარაკა საჭირო ცხენების ყიდვის შესახებ ვისთანაც ჯერ არს, საჭირო ვაგონებიც უკვე მზადდება კარაპეტოვის ქარხანაში და დანიშნულ ვადისათვის მზად იქმნება ყველა ვაგონი.

*** განზრახვა აქვთ კავკასიის სასოფლო-მეურნეობის... 

*** განზრახვა აქვთ კავკასიის საქველ-მოქმედო საზოგადოებათა წესდებებში ზოგიერთი ცვლილებანი შეიტანონ.

*** ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებელმა უკმაყოფილება გამოაცხადა და კასსაციის წესით განასაჩივრა პალატის ის განაჩენი, რომლითაც გამართლებულ იქმნა ქუთაისის პოლიციის მოხელე ახვლედიანი.

*** 24 ივლისიდგან თანამდებობის აღსრულებას შეუდგა ტფილისის ოლქის საგანგებო საქმეთა გამომძიებლად დანიშნული ბ-ნი რიბინსკი.

*** 27 ივლისს ტფილისში ჩამოვიდა 6 კაცი, რომლებიც თავისუფალს მამულს დაეძებენ ვარონეჟის გუბერნიის გლეხობის გადმოსასახლებლად კავკასიაში. ექვსივემ გადასწყვიტეს განჯის გუბერნიაში წავიდნენ და იქ აირჩიონ საჭირო მამული.

*** განზრახვა აქვთ მომავალ სასწავლო წლიდგან ტფილისის ნიკოლოოზის ორ-კლასიანი საქალაქო სასწავლებელი სამ-კლასიანად გადააკეთონ.

*** გაზ. „Сынъ От.“ სწერს, რომ მომავალ წელს დაარსდება განსაკუთრებული საზოგადოება ბუნების-მეტყველთა, რომელსაც აზრად ექმნება შეისწავლოს და ისტორიულად გამოიკვლიოს კავკასიის ბუნება. საზოგადოება ამ აზრით ჰგზავნის მცოდნე კაცთ კავკასიაში, შეჰკრებს სხვა-და-სხვა გვარ ნაშთებს და დაეხმარება იმ კერძო კაცთ, რომელნიც სამეცნიერო აზრით იმოგზაურებენ კავკასიაშიო.

*** გაზ. „Нов.“ სწერს, რომ ბელგიის უსახელო საზოგადოებას ნება მიეცა ოზურგეთის მაზრაში გამოიკვლიოს და აწარმოვოს ნავთი და სხვა მადნეულობანი ოქროს გარდა. ამხანაგობას ძირის თანხად 575,000 ფრანკი ჰქონია.

*** გაზ. „Пет. Вѣд.“ სწერს, რომ რაც რამ მამული ეკუთვნოდა ხაზინას შავის ზღვის პირის გუბერნიაში და გამოსადეგი იყო ვაზისა და ძვირფასს მცენარეულობის გასაშენებლად, სულ ერთიან დაურიგდა კერძო კაცთ და ამიტომ მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ შესწყვიტა იმათ თხოვნების მიღება, რომელნიც ხაზინას მამულსა სთხოვენ ზემოხსენებულს გუბერნიაში ვაზისა და მცენარეულობის გასაშენებლადაო.

*** გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს ჟურნალ „კრებულის“ მე-XI ნომერი. ჟურნალში მოთავსებულია განყოფილება პირველი: პოეტის პროგრამმა, შენიშვნები, ახალი გმირი, ჩემს მეგობარს, საგულისხმო; განყოფილება მეორე: თამარცბიერი, მესამე: მტრედებს რათა აქვთ წითელი ფეხები? ჩაწერილი ალექსანდრე დავითის ძე მაჩაბლისაგან, სესიკი ყაულაშვილი, მისივე და არაკი, მისივე.

## წერილი ფრონის ხეობიდგან.

იტყვიან ხოლმე,—აქა და აქ კუს ნაბიჯით მიდის სწავლა-განათლების საქმეო. მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ჩვენს ხეობაში კუს ნაბიჯითაც-კი არ მიდის სწავლა-განათლების საქმე, თორემ ზოგჯერ კუს ნაბიჯსაც არა-უშავს-რა. ფრონის სამს ხეობაზედ—დიდსა, პატარასა და შუაგულში, არც ერთი სასწავლებელი არ მოიძებნება, არც ერთი მკრთალი ლამპარი მაინც არის სწავლა-განათლებისა. რა არის ამისი მიზეზი, ნუ თუ ხალხს მართლა არ შეუძლიან ერთის სკოლის შენახვა? რასაკვირველია, ეს არ არის მიზეზი. თუ ის შეუძლიან გლეხს, რომ დღეობასა და ნათლობა-ჯვრის-წერის დროს 50—70 მანეთი დახარჯოს, ნუ თუ სკოლისთვის ორის მანეთის გაღება გაუჭირდება?! ჩვენ თითონ ვიცნობთ მრავალს ისეთს გლეხს, რომელთაც ბლომადა აქვთ ფული არამც თუ სახლში, გასესხებულიც-კი, მაგრამ სკოლისთვის, შვილის სასწავლებელში მიბარებისთვის ერთს კაპეიკსაც არ იმეტებენ. იგი მთელის წლობით მიწის სოროში იხრჩობს თავს და ხეირიანი სახლი ვერ დაუდგამს, რომ კაცს შეესვლებოდეს. არა, აქ შეუძლებლობა-კი არ არის მიზეზი, არამედ შეუგნებლობა და თვალ-გაუხელელობა.

მერე რას აკეთებენ სოფლის განმანათლებელნი: მღვდელნი, ან ნასწავლი მამასახლისები. ჰხრუნავენ, ჰფიქრობენ და ირჯებიან, მაგრამ ხალხისთვის-კი არა, თავისთვის. ეს რომ ასე არ იყოს, მაშ სოფლის მღვდელს, მაგალითად, რომელიც ნახევარზედ მოცლილია, ნუ თუ არ შეუძლიან ხუთი-ექვსი მოსწავლე მაინც იყოლიოს სახლში და ასწავლოს!.. მით უმეტეს უნდა მოჰკიდონ მღვდლებმა ხელი ამ საქმეს, რომ ამ ბოლო დროს სასულიერო მთავრობა არაფერს იშურებს ასეთის სკოლის ნივთიერად თუ ფულად დასახმარებლად. სასულიერო მთავრობა

---

# ფელეტონი

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი „ჯეჯილი“ № VI 1898 წ.

ივნისის ნომერი ჟურნალ „ჯეჯილისა“ იწყება ლექსით, რომელსაც სათაურად აქვს „ყვავი“. ლექსს იგავ-არაკის ხასიათი აქვს. შინაარსი ამ იგავ-არაკისა ასეთია: ყვავი უქებს ტყის (?) მაშვს თავისს თავს რო გორც შეუდარებელ მგალობლისას, აძაგებს ბულბულს და გაკვირვებით ამბობს: „ჩემ კიდოს, აქ, ჩვენში რად არ ხმარობენ, როდესაც სხვაგან ფასი აქვს და კიდევაც გალობენ“. (ნეტავი სადა აქვს ასეთი პატივი ყვავის ჩხავილს). პოეტის ტყის მაშვიც რაღაც ახირებულის ზნისა ყოფილა, იმის ნაცვლად, რომ ამხილოს ყვავს მისი უმეცრება და მედიდურობა, უფრო აქეზებს და არწმუნებს, რომ პირ-იქით „უმეტესობა მოწიწებით ყურს გიგდებს და სტკბება შენი გალობითაო“. ამ არაკიდგან ბევრს ვერაფერს სულიერ საზრდოს ვერ გამოიტანს პატარა მკითხველი. ისეთი იგავ-არაკი, რომლის ზნეობრივი სწავლა მეტად დახლართულია, ან შეიცავს ცბიერებას, უსამართლობას, პატარებისათვის საკითხავად სასარგებლო არ იქნება, რადგანაც ზოგიერთი ნაწილი ამისთანა იგავ-არაკებისა პატარებისათვის სრულიად გაუგებარი ხდება და ამიტომ ასეთის საკითხავი მასალის წაკითხვამ მიიყვანა რუსსო იმ დასკვნამდის, რომ საჯაროდ ეთქვა: „чтеніе — бичъ дѣтскаго возраста;“ ისეთის იგავ-არაკების კითხვით, რომლის მეოთხედი ნაწილი გაუგებარია პატარებისათვის, რადგანაც ბავშვები ჯეროვნად ვერ ახსნიან წაკითხულს, ადვილად შესაძლებელია, რომ რომელიმე გაქნილი და ვერაგი მომქმედი, გმირი იგავ-არაკისა, სამაგალითოდ და მისაბაძად იქმნას პატარა მკითხველის მიერ აღიარებული.

იგავ-არაკის შემდეგ „ჯეჯილში“ ვკითხულობთ ორს საბავშვო მოთხრობას: ა) „რა გვიყო ჭიაკოკონამ“ და „ვისი ბრალი იყო“. მოკლე შინაარსი პირველის მოთხრობისა ეს არის: ორს პატარა ბავშვს, შაქროსა და ნიკოს, დიდ-მარხვის უკანასკნელ კვირაში უნდათ ჭიაკოკონა აანთონ. ამისთვის მიდიან მენახშირესთან თივის მოსაპარავად, მენახშირე შეუტყობს მათ და იმდენს სცემს, კიდრე გულს მოიჯერებს. ნაცემი ბავშვები თავისას არ იშლიან, მიდიან ეზოში, სადაც ჩალით სავსე „ბოჩკა“ ეგულებათ, „ბოჩკა“ დაგორდება და ბავშვებიანად პატარა მდინარეში ჩავარდება. ბავშვები გაიხდიან ტანს და მდინარის გაღმა გავლენ. ამ დროს შაქროს მამა წკეპლით ეპარება, ბავშვები შენიშნავენ თუ არა, მაშინვე მოჰკურცხლავენ. ქუჩაში ტიტვლიკანებს უბნის მაწანწალა ბიჭები აედევნებიან და ერთი კიჟინა და ჟრიამული გააქვთ. შაქრო და ნიკო გადარჩებიან ამ ჟამად გალახვას, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიან: საღამოსათვის შეაგროვებენ ფალას-ფულასებს და ეზოში კარგს ცეცხლს გააჩაღებენ. ფალას-ფულასების სუნით მთელი სოფელი ფეხზედ დადგება, მისცვივდებიან და მანამდე სცემენ საბრალო ნიკოსა და შაქროს, სანამ „ჯეჯილის“ პატარა მკითხველები არ მიეშველებიან“. იშვიათი ბავშვი უნდა იყოს, რომ ყველას ეს ამბები მოისმინოს ბოლომდის და არ იგრძნოს ღრმა ზიზღი უგემურ-უხამსის მოთხრობიდგან.

მოთხრობა „ვისი ბრალი იყო“-ში ბიძია ვასილი უამბობს თორმეტის წლის ნატოს მისის დაბადების დღეს თავისს თავგარდასავალს, ყმაწვილობის მოგონებას, სკოლაში სწავლის დროს. ვასილი მეტისმეტი შურიანი ყმაწვილი ყოფილა, თავისზე უკეთესი მოწაფე ძალიან ეჯავრებოდა. სკოლაში ერთი მოწაფე სჯობდა ბიძია ვასილს სწავლითაცა და ყოფაქცევითაც. შურიანობამ იქამდის მიიყვანა ბიძია ვასილი, რომ არავითარს საზიზღარს საშუალებას არა თაკილობდა, ოღონდ პირველი შეგირდი გამხდარიყო. მაგრამ ცდამ ტყუილად ჩაიარა და ბოლოს უკანასკნელ მოწაფეთა რიცხვში მოხვდა. ერთხელ მასწავლებლების შკაფის გასაღები მოაწყო, ჩუმად გააღო და თავისი რვეული მოიპარა ხელ-ახლად გადასაწერად. შკაფის გაღების დროს დაიჭირეს და ამის გამო ბიძია ვასილი დათხოვნილი იქმნა სასწავლებლიდგან. ვასილი ეუბნება ბავშვებს, რომ ჩემი დათხოვნა სკოლიდგან ჩემი ბრალი არ იყოო. მაშ ვისი ბრალი იყოო, ეკითხებიან ბავშვები. აქ მოთხრობა შესწყდება და ყველანი ჩაის დასალევად გავლენ. ამისთანა მოთხრობების წერას არც განსაკუთრებული ნიჭი უნდა და არც დიდი განვითარება. ჩვენ გვგონია, ყველა წერა-კითხვის მცოდნე რამდენისამე საათის განმავლობაში გამოაცხობს მთელს კრებულს ამისთანა მოთხრობებისას. ეს ორი მოთხრობა, რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ, უფლებას გვაძლევს ამ ჟამად შევეხოთ საზოგადო საბავშვო მოთხრობათა იმ ნაკლულევანებას, რომელშიაც მომქმედებად გამოყვანილნი არიან ბავშვები. ამისთანა მიმართულება საბავშვო მწერლობისა დიდი ხანია არსებობს. აზრი იმისთანა საბავშვო მოთხრობებისა, სადაც ბავშვები გამოდიან მომქმედებად, ის არის, რომ ასწავლონ პატარა ბავშვებს ზნეობა. ამ აზრით მოთხრობაში გამოყვანილია ჭკვიანი, პატიოსანი და მართებული ბავშვი, რომელიც ჩინებულად უგონებს მშობლებს და მსჯელობს მოზრდილებზედ უკეთესად, ან ხან და ხან გამოჰყავთ მოთხრობაში ცუდი და გარყვნილი ბავშვები, რომლებიც მოთხრობის ბოლოში შესაფერისად ისჯებიან. მაგრამ დრომ და გამოცდილებამ დაარწმუნა ყველა, რომ იმისთანა წინადვე განსაზღვრული მოთხრობა ბავშვების ცხოვრებიდგან ბევრს არაფერს ზნეობას არ ასწავლის და არ ასწორებს ბავშვებს ზნეობრივად. ამბობენ, რომ საზოგადოდ ბავშვები თავისს ტოლ-ამხანაგებთან მხიარულად თამაშობენ და, მაშასადამე, იმათ შესახებ დაწერილს მოთხრობასაც მხიარულად წაიკითხავენო. მაგრამ ამ შემთხვევაში ყურადღებას არ აქცევენ იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს ცოცხალ ბავშვებსა და მოთხრობაში აღწერილს ბავშვებს შორის. ვთქვათ, რომელიმე მოზრდილი ადამიანი წარმოადგენს ხუთის წლის ბავშვს, დარბის, დახტის და ყბედობს იმასავით. ამისთანა ადამიანი არა თუ გამოიწვევს ბავშვების თანაგრძნობას, პირიქით სასაცილოდ და საზიზღარად მოეჩვენებათ, როგორც ყველაფერი არა ბუნებრივი. რომელ მოთხრობას წაიკითხვენ უფრო ხალისიანად ბავშვები, იმისთანას, რომელიც შეეხება პატარათა ცხოვრებას, თუ ისეთს, რომელიც ჰხატავს მოზრდილების ცხოვრებას! ყველაზედ უფრო უტყუარის პასუხის მოცემა შეუძლიან ცდას; მიეცით ბავშვს ერთნაირად შესაფერისი და ადვილად

უგზავნის უსასყიდლოდ წიგნებს, ქაღალდებს, ყარანდაშებს და ყოველს სამოსწავლო ნივთებს, ოღონდ-კი ხელი მოჰკიდოს ვინმემ ამ კეთილს საქმეს. მაგრამ ეჰ! განა ასეთი ღვთისნიერი კაცი გამოვა ვინმე?!.

ნასწავლი მამასახლისები რაღას აკეთებენ, ისინიც ხომ მღვდელთან ერთად ახლო სდგანან გლეხკაცობასთან? იმათ დიდი ხანია ჩაილურის წყალი დალიეს, ხალხმა ისინი აღარ ინდომა, ჩვენ ნასწავლი მამასახლისი რად გვინდა, უსწავლელებს უფრო კარგად მიჰყავთ საქმეო. ამ სამი-ოთხის წლის წინად, ნასწავლ მამასახლისებს რომ ირჩევდნენ, გვეგონა,— ეხლა მაინც არის კარგად წავა სოფლების საქმეო, მაგრამ, საუბედუროდ, ხალხმა ნასწავლი მამასახლისები ვერ შეიფერა და განდევნა. თუმცა მოსალოდნელი იყო, ნასწავლი მამასახლისები დიდხანს რომ დარჩენილიყვნენ და ხალხს შესჩვეოდნენ, დიდს სარგებლობას მოიტანდნენ.

ეხლა ერთის იმედით-ღა ვცხოვრობთ. ეს იმედი თ. კონსტანტინე ამირეჯიბია. დიდი ხანია გვპირდება იგი, ჩემის საკუთარის ხარჯით დავაარსებ სასოფლო-სამეურნეო სკოლასაო და ხალხიც აღტაცებაშია და სიხარულით მოელის ამ აზრის განხორციელებას. ღმერთსა ვთხოვთ, რომ ეს დაპირება დაპირებად არ დარჩენილიყოს, მრავალ სიკეთესთან ეს სიკეთეც გვიყოს თ. ამირეჯიბმა და მით გაუკვლიოს ჩვენს ხალხს გზა სწავლა-განათლებისაკენ.

შ. კავკაველი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ამ დღეებში გაზ. „Рус. Вѣд." დაისტამბა წერილი მკურნალის პიასკოვსკისა, რომელიც ამტკიცებს, რომ ქაღალდის მოთამაშენი თავისსავე თავის მკვლელები არიანო. ბ-ნი პიასკოვსკი სწერს:

არ არის ისეთი სახლი და კლუბი, სადაც ქაღალდს არა თამაშობდნენ და ამასთან ისეთის გულმოდგინებით, რომ ხშირად მთელს დღესა და ღამეს ქაღალდის თამაშობაში ატარებენ. ვიღა ჰფიქრობს იმაზედ, თუ რა შედეგი მოსდევს ამ ნაირს გატაცებას. ქაღალდის თამაშობის დროს ადამიანს ძარღვები ეხუთება, სისხლი თავისუფლად აღარ მოძრაობს და მთელი აგებულება ადამიანისა რაღაც გამოურკვეველ მდგომარეობაშია. დიდ ხანს ქაღალდის თამაშობისა გამო კაცი ყურდება, იქანცება და გონება უჩლუნგდება. ამას ზედ დაუმატეთ ისიც, თუ რა გარემოებაში თამაშობენ ქაღალდს და ადვილად წარმოიდგენთ იმას, რომ კაცი თითონ იმოკლებს თავისს სიცოცხლეს ქაღალდის თამაშობით. ჯერ ერთი, ოთახი ხშირად თამბაქოს კომლით არის გატენილი და, მეორე, მოთამაშე მუდამ ჰღელავს, ჰბრაზობს და სცდილობს, ფული არ წავაგოო. ქაღალდის სათამაშო ოთახი განსაკუთრებული ქარხანაა, სადაც ადამიანი როგორც სულიერს, ისევე სხეულის სნეულებას იძენსო.

* * *

აი, რასა სწერს ახლად გარდაცვალებულის თავად ბისმარკის შესახებ რუსეთის გაზეთი „Сынъ От.". იგი ადარებს „რკინის კანცლერს" ბისმარკს ინგლისის დიდებულს კაცს გლადსტონს და ამბობს:

ბისმარკის გარდაცვალებამ ისეთ ნაირად არ იმოქმედა თავისს სამშობლოსა და სხვა სახელმწიფოთა მცხოვრებლებზედ, როგორც გლადსტონის გარდაცვალებამ, იმ კაცისამ, რომელიც გამომხატველი იყო ყოველისავე დიდებულის და კეთილშობილურის აზრისა პოლიტიკაში. ბისმარკი იღვწოდა ძალ-მომრეობის სადღესასწაულოდ, ხოლო გლადსტონი სამართლიანობისა და ადამიანის უფლებათა განმტკიცებისათვის. პირველი სცდილობდა დაეკმაყოფილებინა უმცირესობის ნატვრა-სურვილი, ხოლო მეორეს სახეში ჰქონდა სიკეთე და სარგებლობა უმრავლესობისა, ხალხისა, კაცობრიობისა. პირველს ხალხი უკან მიჰყავდა, მეორეს— წინ; პირველმა ომიანობა და სისხლის ღვრა გააჩინა და როგორც თავისს სამშობლოსი, ისევე მთელის ევროპის წინმსვლელობა შეაფერხა, ხოლო მეორემ ინგლისი მშვიდობიანობისა და სალიბერალო გზაზედ დააყენა და თუ სრულიად ვერ დაამთავრა თვისი კეთილშობილური განზრახვანი, მთლად ევროპასა და თავისს სამშობლოს მაინც დაანახვა ის, თუ საითკენ უნდა მიისწრაფოდეს კაცი სიმართლის აღსადგენად. ბისმარკი კაცობრიობისათვის ღვთის სასჯელი იყო, ხოლო გლადსტონი—მისი მომხრე, კეთილისმყოფელი. იმ ბრწყინვალე შენობას, რომელიც ბისმარკმა შეჰქმნა, მის სიცოცხლეშივე დარღვევის ნიშნები აღმოაჩნდა, დიდი ხანი არ გაივლის და იგი სრულიად განქრება და ადგილს დაუთმობს კეთილის-მომქმედ ერთიანობას, რომელიც დაფუძნებული იქნება, არა ძალ-მომრეობასა, არამედ ერის სიკეთესა და სამართლიანობაზედ. ის, რაც გლადსტონმა გააკეთა და უანდერძა კაცობრიობას, მუდამ ცოცხალი იქმნება და განვითარდება, ვიდრე კაცობრიობა არ მიაღწევს იმ წმიდა იდეალებს, რომელთაც ემსახურებოდა დიდებული ვილიამსი.

## რუსეთი

კერძო კაცთა თაოსნობით პეტერბურგს არსდება კერძო კურსები აღმოსავლეთ ენებისა ქალებისათვის. სასწავლებელს სამის წლის კურსი ექმნება და სასწავლებელში მიღებულ იქმნებიან ის ქალნი, რომელთაც გიმნაზიასა და ინსტიტუტში ექმნებათ სწავლა დამთავრებული, ან უმაღლესი განათლება ექმნებათ მიღებული.

— ამ ჟამად რუსეთის სატეხნიკო საზოგადოებასთან დაარსებულ კომისის განსახილველად წარედგინა ამ საზოგადოების ნიჟეგოროდის განყოფილების შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ნიჟეგოროდში დაარსებულ იქმნას უმაღლესი სატეხნიკო სასწავლებელიო.

— ამ ახლო ხანში უმაღლესი მთავრობა მოილაპარაკებს იმის შესახებ, რომ რომელსამე მდ. დონის მახლობლად მდებარე ქალაქში დაარსებულ იქმნას უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი სოფლის მეურნეობისა და ღვინის წარმოების მცოდნე კაცთა მოსამზადებლადაო.

— საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დედათა გიმნაზიებში შემცირებულ იქმნას მოსწავლე ებრაელთა რიცხვიო. სამინისტროს მმართველმა ამ საქმის გამოსარკვევად შესაფერი ცნობები მოსთხოვა ყველა სამოსწავლო ოლქის მზრუნველს.

— განზრახვა აქვთ ამ ახლო მომავალში მთელის რუსეთის სახელმწიფო პალატების მმართველთა კრება გაჰმართონ ქ. მოსკოვში სხვა-და-სხვა საგნების შესახებ მოსალაპარაკებლად.

— გზათა სამინისტრომ ბრძანება დაუგზავნა სახელმწიფო რკინის გზების სამმართველოებს, რომ იმათ შესამოწმებლად, რომელნიც სამსახურს თავს ანებებენ ავადმყოფობისა გამო და რომელნიც დახმარებას თხოულობენ ავადმყოფობისგან განსაკურნავად, დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული კომისია რკინის გზის უფროსს მკურნალის თავმჯდომარეობითა და ორის სხვა მკურნალის მონაწილეობითაო.

— სამკურნალო დეპარტამენტის ანგარიშიდგანა სჩანს, რომ რუსეთში უკანასკნელ სამის წლის განმავლობაში 1000 კაცზედ 33,3$^0/_0$ კვდება მაშინ, როდესაც უცხო სახელმწიფოებში 1000 კაცზედ 30 და 27$^0/_0$ კვდება, სახელდობრ: იტალიაში—25$^0/_0$, გერმანიაში—23$^0/_0$, საფრანგეთში—22, შვეიცარიაში—20, ბელგიაში—19, ჰოლლანდიასა და ინგლისში—18, დანიაში—17 და ნორვეგიასა და შვეციაში—16. დაბადებულთა რიცხვის მხრივ-კი რუსეთი დიდადა სჭარბობს სხვა სახელმწიფოებს, სახელდობრ რუსეთში მუდამ წელს იბადება 1000 მცხოვრებლებზედ 48$^0/_0$, ავსტრიაში—37, გერმანიაში—36, იტალიაში—35, ჰოლლანდიაში—33, ინგლისს, შოტლანდიასა, დანიასა და ნორვეგიაში—30, ბელგიასა და შვეიცარიაში—28, შვეციაში—27, ირლანდიაში—23, საფრანგეთში—22 და მხოლოდ ვენგრიაში იბადება—42.

## უცხოეთი

**ამერიკა და ესპანია.** ესპანიასა და შეერთებულს შტატებს შორის სისხლის მღვრელს ომს ბოლო ეღება. როგორც ვუწყით წუხელ მადრიდიდგან მოსულ დეპეშით, ესპანია უკვე დათანხმებულა იმ პირობებზედ, რომელიც ამერიკამ წარუდგინა. ამ გვარად სამშვიდობიანო მოლაპარაკების უკვე დასაწყისი დაიწყო. მართალია, ესპანია უნდა გამოეთხოვოს თავისს ბატონობას ანტილიის კუნძულებზედ, ხოლო სამაგიეროდ, იმასვე რჩება ფილიპპის კუნძულები, ერთის კუნძულის გარდა, რომელიც შეერთებულს შტატებს უნდა დაუთმოს საქვანახშირო სადგურისათვის. როგორც გუშინდელს უცხოეთში აღვნიშნეთ, პირველ დაწყებითს მორიგების პირობაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თხოულობს რასმე ამერიკა სამხედრო სასყიდლად თუ არა. ბევრნი იმ აზრისანი არიან, რომ ამერიკა უარს იტყვის სასყიდელზედ, რადგან პორტო-რიკოს კუნძული იმასა რჩებაო. ეს კუნძული, პირობის ძალით, ამერიკას უნდა გარდაეცეს, ხოლო კუბას საკუთარი თვით-მმართველობა დაენიშნოს, რასაკვირველია, ამერიკისავე ზედამხედველობით. ეჭვი არავისა აქვს, რომ რამდენისამე წლის შემდეგ კუბასაც პორტო რიკოს ბე-

---

გასაგები მოთხრობა, როგორც ბავშვების, ისე დიდების ცხოვრებიდგან, და ადვილად დაინახავთ, რომელს მოთხრობას ამჯობინებს. თუ ორივე მოთხრობა ერთ ნაირის ნიჭით არის დაწერილი, თუ მოთხრობათა ავტორები არ არიან მოკლებული ხელოვნებითს ნიჭს, შემოქმედებითს ძალას, და თუ მკითხველ ბავშვის ბუნება არ არის დამახინჯებული არა ბუნებრივის აღზრდის წყალობით, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ბავშვები უპირატესობას მოზრდილთა ცხოვრებიდგან აღებულს მოთხრობას მისცემენ. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ბავშვების ცხოვრების ცისკიდური ძალიან განსაზღვრული და შევიწროებულია, ეს შევიწროება უფრო თვალ საჩინოდ ჰხდება ბავშვებისათვის, როცა ისინი თავიანთ ცხოვრებას ადარებენ დიდების ცხოვრებასთან. ბავშვის ცხოვრება ისეც ღარიბია ფაქტებით. სახელმძღვანელო წიგნებში ხშირად შეხვდებით ისეთს მოთხრობებს, რომელიც ბავშვების ცხოვრებას შეეხება, და რაც ბავშვს გარს არტყია, მაგრამ ამას სულ სხვა აზრი და საგანი აქვს. საბავშვო მოთხრობები საბავშვო ჟურნალებში გაკვეთილს არ შეადგენს რომელსამე მეცნიერებისას. პირდაპირი აზრი ამისთანა მოთხრობებისა ის არის, რომ მკითხველი გაართოს ხელოვნურის პოეტიურის ნაწარმოებით. ბავშვების ცხოვრებიდგან აღებულს მოთხრობებში არ შეიძლება აღწერა ისეთის შემთხვევებისა, რომ ამან შესძლოს ბავშვის ყურადღების აღძვრა და წარმოადგინოს სრული ხასიათი. რადგანაც თითონ ბავშვებს ჯერ კიდევ არ აქვთ შემუშავებული მტკიცე ხასიათი. უმთავრესი პირობა საბავშვო მოთხრობისა, როგორც ხელოვნურის პოეტიურ ნაწარმოებისა, ხასიათის დახატვა უნდა იყოს. კარგი დახასიათებანი ისე საჭიროა საბავშვო მოთხრობისათვის, როგორც ხმები სამუსიკო პიესისათვის, როგორც უკანასკნელი შეუძლებელია იქ, სადაც არ არის სუფთა ხმები, ან სუსტი ხმებია, აგრეთვე პოეტიური ნაწარმოებიც შეუძლებელია იქ, სადაც არ არის ნამდვილი ცხადად განსაზღვრული ხასიათი. ჟურნალ „ჯეჯილის" ბელეტრისტიული ნაწილის ზოგი თანამშრომლები, რომელთა ნაწარმოები წინადაც გაგვირჩევია, და ამ ნომერშიაც ვხედავთ, იმ შეცდომას სჩადიან, რომ იღებენ მასალას ხშირად მარტო ბავშვების ცხოვრებიდგან პირდაპირ ზნეობრივის აზრის მისაღწევად, მაგრამ ის მხარე მწერლობისა, რომელშიაც უმთავრესს საგანს შეადგენს ესტეტიური გემოვნება, ჩვენს საბავშვო მწერლების ნაწარმოებში ძალიან დაცემულია, ხელოვნება მათს ნაწარმოებში იშვიათი მოვლენაა. ავიღოთ, თუ გინდ, ეს ორი მოთხრობა—„რა გვიყო ჭიაკოკონამ" და „ვისი ბრალი იყო". არც ერთს ამ მოთხრობათაგანს, რასაკვირველია, ხელოვნურს ნაწარმოებთან ადგილი არა აქვს. ამ მოთხრობათ შეუძლია მკითხველი დააძინოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა საბავშვო მოთხრობათა საგანი ის უნდა იყოს, რომ განაღვიძოს, შეარყიოს და აღორძინ-განავითაროს, რაც საუკეთესო რამ მოიპოვება ადამიანში. საცოდავნი არიან ბავშვები, რომელთაც მოუხდებათ კითხვა იმისთანა მოთხრობებისა, რომელიც წარმოადგენს გონებითს მეტად სუსტს და მჴლე საზრდოს. ზნეობრივი სისუსტე, სხეულის უღონოება და სხვა მავნე მოვლენაც აუცილებელია ამ გვარის სულიერ ფარეზობისაგან.

თუ საბავშვო საკითხავ მოთხრობის წესისათვის საჭიროა ნიჭი, მით უფრო აუცილებლად საჭიროა იგი ლექსებისათვის. საბავშვო მოლექსეებიც წარმოადგენდენ ცოტათ მაინც „ზეგარდმო მადლით ცხებულს" არსებას. ის პოეტი, რომელიც მამლის ყივილით და ქათმების კრიახით მოდის აღტაცებაში, მოკლებული უნდა იყოს ბუნებრივს მაღალს ნიჭს და ძალად სცდილობს აფოფხდეს პარნასის მთაზედ. „ჯეჯილის" მეექვსე ნომერში, სხვათა შორის, ერთი ლექსია—„ყვინჩილა"; რომელიც ავტორს და რედაქციას ძალიან მოსწონებიათ, მკითხველისა-კი რა მოგახსენოთ. ლექსი ასე იწყება:

ნაგავს ჰქექენ ქათმები,
ფეხებს აფხაკურებენ,
ჭიას ნახვენ, ჭყლაპავენ
დიდხანს არ უყურებენ

—

თანაც მხიარულობენ
დიდიან პატარიან
დედლები [illegible]
კრიახობენ, მღერიან.

(ვიშ, ნეტარებავ, დედლები კრიახობენ, მღერიან".) პოეზიაა, მაშ რა ეშმაკია! თუმცა ეს ლექსი ჩვენ არ მოგვეწონა, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ჩვენებურის პედაგოგის ბ-ნ ალ. ნათაძის პედაგოგიურს და პოეტიურს გემოს, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ბ-ნ ნათაძის გემოვნებას ეს ლექსი დააკმაყოფილებს სრულიად და ამიტომ თავის ნელ-არ-ხსენებულის „მოკეთის" მეორე გამოცემაში ჩაურთავს კიდეც.

მოთხრობა დავით და კონსტანტინეს შესახებ ჩვეულებრივ კარგია, მხოლოდ, სამწუხაროდ, ყველა ნომერში ვერა ვხედავთ პატივცემულის პედაგოგის ნაწერებს. ამის გამო მაშინ, როდესაც ზნეობრივს განყოფილებას საბავშვო ჟურნალში საპატიო ადგილი უნდა ეჭიროს, ზოგიერთი ნომრები ჟურნალ „ჯეჯილისა" სრულიად მოკლებულია განყოფილებას.

მოთხრობას დავით და კონსტანტინეს შესახებ მოჰყვება მოთხრობა ფრინველთა ცხოვრებიდგან ჭომრეა. ღირსება ამ მოთხრობისა ის არის, რომ მისი ავტორი მოთხრობას იწყებს ბავშვების მიერ ცნობილის საგნიდგან, რომელსაც ცოტა მონათესაობითი კავშირი აქვს ჭომრესთან. მოთხრობას ჩართული აქვს მოზრდილი სურათი, რომელიც თვალსაჩინოდა ხატის დაწერილს. არ მოგვეწონა ის ადგილი, სადაც აწერილია ჭომრეს ამოყვანა ბუდიდგან. ძვალ-რბილ და სახსრებ დადუნებული ფრინველი ჩამოიყვანეს ბუდიდგან და ისევ იქვე დააგდეს; იმდენი ზნეობრივი გამოცდილება ვერ იხმარეს, რომ ისევ ბუდეში ჩაესვათ. ფიზიოლოგიური წერილები ძალიან გაჭიანურებულია. ავტორი ხშირად ისეთს რამის შესახებ ელაპარაკება პატარა მკითხველებს, რასაც არავითარი კავშირი და დამოკიდებულება არ აქვს უმთავრესს საგანთან. ისეთი რთული საგანი, რომელსაც ავტორი აწვდის პატარა მკითხველებს, ითხოვს მკითხველის მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას, ხოლო სხვა და სხვა საგნის გამოლაპარაკი ხელს უწყობს მხოლოდ გულის ყურის დანაწილებასა და გონების გაფანტულობას. ბატანიკური წერილები რომ სრულიად არ იბეჭდებოდეს იმ სახით, როგორც ეხლა იბეჭდება, „ჯეჯილს" არც დააკლდება და არც შეემატება რამე. სამეცნიერო გასართობი, „გულშემატკივარი მეზობელი" და „მგელი გაჭირვებაში" კარგებია. საზოგადოდ „ჯეჯილის" მეექვსე ნომერი სხვა ნომრებთან შედარებით სუსტია.

ლ. ბოცვაძე

დი მოელის, თვითვე ჰყოფს უარს თავისს დამოუკიდებლობისაგან, როგორც ამას წინად ჰავაის კუნძულებს დაემართად. ამ გვარად, ანტილიის კუნძულები ამერიკის საკუთრება ხდება და, რასაკვირველია, ამ კუნძულების შესახებ მომავალ ესპანიელ-ამერიკელთა კომისიას სალაპარაკო და სათათბირო არა აქვს-რა. ამ მოლაპარაკების დროს უმთავრესი ადგილი დათმობილი ექმნება ფილიპპეს კუნძულებს. გაზეთების სიტყვით, თუ ფილიპპეს კუნძულები კვლავ ესპანიელებს მიეკერძა, ამერიკელები ეცდებიან უფლება რამ დაიტოვონ, რომ ჩაერივნენ ამ კუნძულების საქმეში, თუ შემდეგ ჩასარეველი და ხელ-მოსაჭიდებელი მოხდა რამეო.

—

**საფრანგეთი.** კასსანიაკმა „L'Autoritê“-ში წერილი დაჰბეჭდა ესტერგაზ-პატი—დე კლამის შესახებ. ამ წერილმა, სწერს „Figaro“, დიდად იმოქმედა ყოველს წრეშიო. კასსანიაკი უსაყვედურებს მთავრობის, რომ „სიმტკიცე და პირდაპირობა გაკლია და იმდენი ვერ მოგიხერხებია, რომ გაამართლო აფიცრები, თუ ისინი უბრალონი და უდანაშაულონი არიან, და დასაჯო, თუ ბრალეულნი და დამნაშავენი არიან“.

„იმ დღესაო, სწერს კასსანიაკი, რა დღესაც ესტერგაზი დაპატიმრებულ იქმნა და სიყალბის ჩადენის ბრალი ედებოდა, მისი სიფლიდე ჩრდილს აყენებდა მთელს ჯარს. ჯერ არს იყო, რომ დასაწყისიდგანვე განგვეძევებინათ ეს ვაჟბატონი, მოგვეშორებინათ იგი და ნება არ მიგვეცათ, რომ იმასა და ჩვენს ჯარს შორის საერთო ყოფილიყო რამე. თუ დრეიფუსი მოღალატეა, განა ეს გარემოება საფუძველს გვ[ა]ძლევს ესტერგაზის ქება დიდებისას? განა არ შეიძლება, რომ მოღალატის გვერდით ფლიდი და საზიზღარი ადამიანი არსებობდეს? შეიძლება, რასაკვირველია, და ჩვენ-კი ბილიოს წყალობით ასეთი ძახილი გავიგონეთ: „გაუმარჯოს ესტერგაზისაო“!

კასსანიაკის აზრით, ასევე გაუგებარია მთავრობის საქციელი პატი-დე-კლამის საქმეში. ამ აფიცერს, რომელსაც [illegible] შტაბში იყო, ათასი საშინელი ბრალი ედებოდა. ის-კი ჩუმად იყო, არავის უჩიოდა, სილა არავის შემოჰკრა! რადა? ალბად იმიტომ, რომ მთავრობა პირს უკრავს და არაფერს ათქმევინებს. კარგი, მაგრამ ხანგრძლივ ხომ ვერ გასტანს საქმეთა ასეთი ვითარება. თუ მართალია და ესტერგაზის არ უწერია სამარცხვინო წერილები, არ ჩაუდენია რამდენიმე საზიზღარი საქციელი, უბრძანონ, რომ დაუფარავად, ნაფიც მოსამართლეთა წინაშე დაიცვას თავისი პატიოსნება და სამართალში მისცეს მისნი ბრალის დამდებნი. თუ ეს არ უნდა, თუ ეს ვერ გაუბედნია, აშკარაა, ის აღიარებს თავისს დანაშაულს და უნდა განძევებულ იქმნას ჯარიდგან. ესევე ითქმის სავსებით პატი დე-კლამის შესახებაცაო.

## დამაკვირდი

ფუტკარი ნუმტსა თვისისა საზრდელისასა მეფეთა მიანიჭებს, თუმცაღა მისდა არცა კელნი და არცა კელოვნება მიუცემიეს ბუნებასა.

წმ. ეფთვიმე.

* * *

ნათელი დაამტკიცე, ბნელი განაქარვე და სიმართლე დანერგე.

იოანე ბერი.

* * *

დავიდგათ ჩაფხუტი სასოებისა, რათა არა დავიწყლნეთ და მოვკვდეთ ღვაწლსა შინა.

ნეტარი იპოლიტე (X ს.)

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

საფრანგეთში ამ ბოლოს დროს დიდის სიამოვნებით ჰრგავენ თურმე ახალს ხეხილს, რომელიც ეხლა-ხან მოუტანიათ იაპონიიდგან. ამ ხეხილს ეწოდება „Kacis“-ი, „კაკის“. ხე უნდა დაირგას შემოდგომობით, ნიადაგი რა ნაირიც უნდა შეხვდეს, სულ ერთია, მხოლოდ კირიანს ნიადაგში უფრო უკეთესადა ჰხარობს. ხილი შემოდგომის ცამდეგს უმწიფდება ამ ხეხილს, ნაყოფი თითქმის ფორთოხალის ოდენი აქვს. ფერითაც ფორთოხალსა ჰგავს ნაყოფი, ყვითელ-ზაფრანის ფერი დაჰკრავს, ძალიან ნაზი კანი აქვს, რომელიც ბუსუსით არის შემოსილი. ნაყოფს არც კურკა აქვს და არც თესლი, გემოთი მწიფე გარგარის გემოს წააგავს. ძალიან გემრიელი ხილია და იმის ჭამით ადამიანს გული უხალისდება. იმდენად ნაზია, რომ კოვზით უნდა იჭამოს კანამდე. მშვენიერი მურაბა დგება ამ ნაყოფისა, განსაკუთრებით სუნი აქვს თურმე საუცხოო. ამბობენ, რომ ამ ხის ნაყოფს სამკურნალო თვისებაცა აქვს, ძალიან რგებს იმათ, რომელთაც ყვანა აქვთ.

„კაკის“-ის ხე მაღალი არ იზრდება, მაგრამ ძალიან მოხდენილია თავისის მშვენიერის ფოთლების წყალობით და ბაღებს დიდად ამშვენებს. შემოდგომაზედ, როცა ფურცელი დასცვივა და ნაყოფები რჩება ხედ, იგი საუცხოოდ და საოცნებოდ ჰმოქმედებს ადამიანზედ. ამ ხის ნაყოფს გარ[და], რომელიც იაპონელებს სალიან უყვართ, თვით ხეც გამოსადეგია დურგლებისათვის, რადგან კარგად ელვარიანდება და იაპონელები მრავალს წვრილმანს ნივთებს აკეთებენ იმისაგან.

კარგი იქმნება, რომ ჩვენმა ბაღოსნებმა მიაქციონ ყურადღება ამ ფრიად სასარგებლო ხეხილს. იგი ჩვენში ძალიან კარგად იხარებს, რადგან თბილი და ქარისაგან დაცული ადგილი უყვარს ლეღვის ხესავით, თუმცა 12—15° სიცივესაც კარგად იტანს.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: 6ბ)

ნუსხური ხელნაწერი № 134 (infolio მცირე, გვ. 680 1—42 და 169—170 ქაღალდია და დანაშთენი სქელი ტყავი და ბოლოც აკლია) არის კრებული.

ამ კრებულში შემდეგი წერილებია: ა) კლემაქსი, ბ) ბაგრატ პონტელის ცხოვრება და გ) ნიკოლაოს მირონ ქალაქელის ცხოვრება.

რა არის კლემაქსი და ვის უთარგმნია იგი ქართულად? ამ კითხვების პასუხს ვპოვებთ პირველს კაბადონზედ.

ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რომელნი იკითხვიდეთ ანუ სწერდეთ წმიდასა ამას წიგნსა, წმიდანო ღირსნო, ვითარმედ ნეტარსა მას მამასა, რომელსა ესე სულთა განმანათლებელი წიგნი უთქუამს, არა თუ კლემაქსი ეწოდების,—ნუ იყოფინ! არამედ იოანე არს სახელი მისი, ხოლო კლემაქსი წიგნსა ეწოდების, და არს „კლემაქსი“ ბერძულითა ენითა ვითარმედ „კიბეო“ ։

ხოლო ამისთვის ეწოდების წიგნსა ამას კიბე, რამეთუ, ვითარცა კიბე სათნოებათაჲ, შექმნა წიგნი ესე და მდაბალთა საქმეთაგან იწყებს და თანა და თანა მაღალთა მიმართ აღვალს, ვითარცა თჳთ აღსასრულსა წიგნისასა ჰპოვოთ გამოსახული კიბე სათნოებათაჲ (წითელი მელნით გამოსახულია 30 საფეხურიანი კიბე (იხ. 378 გვ.) და ყოველ საფეხურის პირდაპირ აწერია, თუ რომელ სათნოებას აღნიშნავს იგი).

ხოლო რომელსა გამოკრებული იგი მცირედი პ ი რ ვ ე ლ ე თ ა რ გ მ ნ ა, კლემაქსი ეთქვა მის წმიდისადა. აწ უკეთუ ვინმე წიგნისა სახელსა იტყოდის, თქუნ კლემაქსი, რომელ არს კიბე, ხოლო უკეთუ წმიდასა მას სახელსა იტყოდის, თქუნ იოვანე։.

ვინაჲთგან უკუჱ პ ი რ ვ ე ლ ს ა მ ა ს თ ა რ გ მ ა ნ ს ა მრავალი მდუმრად დაეწერა და მრავალი დაეგდო, ამისთჳს მე გლახაკმან ეფთჳმე, ბრძანებითა წმიდისა მამისა ჩემისა იოანესითა, ვთარგმნე ესე ვითარცა თჳთ მას წმიდასა ეთქუა ბერძულად, რამეთუ ბერძენი იყო იგი ნათესავით։.

აწ უკუჱ რომელნიცა იკითხვიდეთ ამას წმიდასა წიგნსა ლოცვაჲ ყავთ წმიდისა მამისა ჩემისა იოანესთჳს და ჩემთჳს ცოდვილისა ეფთჳმესა, და რომელნი სწერდეთ, ვითარცა აქა ჰპოოთ, ეგრეთ დაწერეთ.

ამავე ეფთვიმეს მთარგმნელობა აღნიშნულია აგრეთვე კლემაქსის ბოლოში (გვ. 424) და იქვე გამოცხადებულია ეფთვიმეს მამის იოანეს საერისკაცო სახელიც ა ბ უ ლ ჰ ე რ ი. აი ეს ადგილიც:

ჲჳსო ქრისტე შეამკვე მადლითა და ნიჭითა შენ მიერითა წმიდაჲ მამაჲ ეფთჳმე ძე წმიდისა მამისა იოვანე აბულჰერისი *): და მკვდრი სამოთხისაჲ: რომელმან თარგმნა წმიდაჲ ესე წ[ი]გნი։ განმანათლებელი სულთაჲ და სხუანი ურიცხუნი ბერძულისაგან ქართულად (გვ. 424).

კლემაქსში მოთხრობილია როგორც მისის ავტორის ცხოვრება, ისე მოყვანილია ყველა მისი ნამუშაკევი.

მომყავს აქვე სახელები 30-ის საფეხურიან კიბისა, რომელსა ზედა, თვისს სიცოცხლეში, უნდა აღვიდეს კაცი თან-და-თან, ქვემო საფეხურიდგან ზემოთამდის.

სახელები სათნოებთა ქვემო საფეხურიდგანმოკიდებული: ა) სივლტოლაჲ სოფლისაჲ, ბ) სიმდაბლის მოგება სოფლის სიძულილით, გ) სადმრთო უცხოება, დ) მორჩილება, ე) სინანული, ვ) სულისა აღვრ მსხმელის სიკვდილის ხსენება, ზ) სამარადისო გლოა, ჱ) დაწყნარებული ურისხველობა, თ) ძჳრუხსენებლობა, ი) არა განკითხვა, ია) სულთა განმანათლებელი დუმილი, იბ) კურნება [illegible], იგ) ლხინება დახსნილის მოწყინებისა, იდ) მარხვა, იე) უხრწნელი და სურნელი სიწმიდე, ივ) ძლევა ვეცხლ-მოყვარებ სა, იზ) ცად აღმყვანებელი უპოვრება, იჱ) ძლევა ულმობელობისა, ით) ფსალმუნება, კ) მღჳძარება, კა) განთავისუფლება ბოროტისა მოშიშებისაგან, კბ) ოტება მზვაობრობისა და ამპარტავნებისა, კგ) ძლევა ბოროტის გმობისა, კდ) სიმშვიდე და სიწრფოება, კე) ვნებათა მომსრველი სიმდაბლე, კვ) სანთელი გულისხმის ყოფისა, კზ) დაყუდებაჲ, კჱ) ანგელოზებრივი და ჭეშმარიტი ლოცვაჲ, კთ) ნავთ-საყუდელი უვნებლობისა და ლ) სიყვარული, სასოება და სარწმუნოება (გვ. 379).

(შემდეგი იქნება)

*) ეს დიდებული ქართველი წმიდანად აღიარებულია თვით ბერძენთა ეკკლესიისაგან. „თუესა იგნისსა: იდ: მიცვალებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი, ეფთჳმეს მამისაჲ, ჭეშმარიტისა მის მონაზონისაჲ და ქრისტეს ნების მყოფელისაჲ რომელსა პირველ აბულჰერით ერქუა ერის მთავრობასა“ (სვინაქსარ. № 222, თარგმ. გიორგი მთაწმიდელისა).

## ახალი წიგნები

—

რედაქციამ მიიღო წიგნაკი: „ცხოვრება წმ. ქალწულ-მოწამისა მარინესი“, რომელიც ძველის ნაწერებიდგან მდაბიურად და ადვილად გასაგების ენით გადმოღებულია მ. შარაძის მიერ. წიგნაკი გამოცემულია მორჩილის რაჟდენ ბარამიძისაგან, შეიცავს 32 გვერდს და ჰღირს ერთი შაური.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

უღრმესს მადლობას ვუცხადებთ როგორც მე, აგრეთვე აქაური ბედისაგან დაჩაგრული ქართველი საზოგადოება ქუთაისში მცხოვრებთ: გიორგი სპირიდონის ძე და არჩილ ხმალაძეთ, რომელთაც უფასოდ გამოუგზავნეს „ვლადივოსტოკის ქართულს სამკითხველოს“ ქართული წიგნები: პირველმა—„შიომღვიმელი“, „წამება წმიდის რაჟდენისა“, „საქართველოს შესახებ“, ჩვენებური საქმის ბოლო“, „ცხოვრება მეფის თეიმურაზ პირველისა“, „კალმასობა“, „ვახტანგ ორბელიანი“, „სოკრატი“, „ძმური სიტყვა“, „მეფე ერეკლეს გმირები“, „მოლა მასრადინას ამბები“, ოთხთა მოციქულთა ცხოვრება“, „წამება ქეთევან დედოფლისა“ და „ნათელა“ (ძველებური ამბავი); მეორემ—„სალამური“, „სალიტერატურო კრიტიკა“, „იავ ნანამ რა ჰქმნა“ და „თავდადებულნი ქართველნი“. უმორჩილესადა ვთხოვთ სხვათა გულშემატკივართა ქართველთა და რედაქციებს: „ივერიისა“, „ცნობის ფურცლისა“, „მოამბისა“, „კვალისა“, „ჯეჯილისა“, „მეურნისა“, „მწყემსისა“, „კრებულისა“, „Новое Обозрѣніе“-სა, „Тифлискій Листокъ“-ისა და „Пастырь“ ისას, ნუ დაიშურებენ თითო ცალს თავიანთის გამოცემისას.

აქაურ სომეხთაგან დავალებული, მათის სახელით ვთხოვ სომხურ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს: „ნოროდარ“-ს, „მშაკ“-ს და სომხის ქველმოქმედ საზოგადოებას, ნუ დაიშურებენ თითო ცალს თავიანთის გამოცემისას „ვლადივოსტოკის ქართულ სამკითხველოსათვის“, საიდგანაც ისარგებლებენ ქართველნი, რუსები და სომხები. ყოველივე შემოწირულება „ვლადივოსტოკის ქართულის სამკითხველოს“ სასარგებლოდ შეიძლება გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Въ г. Владивостокъ полковому священнику о. Соломону Имерлишвили.

სოლიკო ციმბირში



## განცხადებანი

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქალაქის გამგეობისავე დარბაზში ამა წლის 10 აგვისტოს ნაშუადღევის 1 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა უპატრონო ძაღლების დახოცვის იჯარით გასაცემად. პირობების შეტყობა შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე.

(3—6.—2)



### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

| უმთავრესი სადგურები | მატარ. № 1 ბაქოდგან ბათუმამდე: შედის | გამოდ. | მატარ. № 2 ბათუმიდგან ბაქომდე: შედის | გამო. | მატარ. № 3 ბაქოდგან ბათუმამდე: შედის | გამოდ. | მატარ. № 4 ბათუმიდგან ბაქომდე: შედის | გამოდ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 8.47 | — | — | 8.20 | 8 33 | — | — | 8.35 |
| სამტრედია | 5.31 | 5.46 | 11.21 | 11.36 | 4.50 | 5.05 | 12.05 | 12.20 |
| ყვირილა | 3.37 | 3.47 | 1.22 | 1.32 | 2.48 | 2.58 | 2.16 | 2.26 |
| ხაშური | 12.41 | 12.56 | 4.38 | 5 00 | 11.47 | 12.02 | 5 26 | 5.41 |
| გორი | 11.23 | 11.32 | 6.06 | 6.18 | 10.23 | 10.33 | 6.45 | 6.55 |
| ტფილისი | 8.26 | 9.10 | 8.22 | 9.05 | 6.33 | 7.48 | 9.07 | 10.57 |
| აქსტაფა | 5.23 | 5.32 | 11.43 | 11.51 | 2.53 | 3.18 | 1.45 | 2.08 |
| განჯა | 2.23 | 2.37 | 2.35 | 2 55 | 11.39 | 11.54 | 5.18 | 5.40 |
| უჯარა | 10.43 | 10.53 | 6.08 | 6.20 | 7 39 | 7.49 | 9. 4 | 9.24 |
| აჯიქაბული | 7.29 | 7.44 | 9.19 | 9.30 | 3.57 | 4.17 | 1.00 | 1.25 |
| ბაქო | — | 4.05 | 12.59 | — | — | 12.20 | 5.45 | — |

შენიშვნა: შავს ხაზებში მოქცეული საათი და წუთი ღამესა ჰნიშნავს, უხაო—დღეს.

სამტრედიასა და ფოთს შორის ორი მატარებელი დადის: პირველი სამტრედიიდგან გადის დილის 5 საათსა და 05 წუთ. და ფოთში შედის დილის 7 საათსა და 42 წუთ., მეორე—სამტრედიიდგან გადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ფოთში შედის საღამოს 10 ს. 08 წ.; პირველი—ფოთიდგან გამოდის საღამოს 8 ს. 55 წ. და სამტრედიაში მოდის საღ. 11 ს. 30 წ., მეორე ფოთიდგან გამოდის დილის 6 ს. 27 წ., სამტრედიაში მოდს დილის 8 ს. 55 წ.

სა ტრედიასა და რიონს შორის; სამტრედიიდგან გადის დილის 9 ს. 10 წ., რიონში ჩადის დილის 10 ს. 02 წ. და ესევე მატარებელი რიონიდგან ქუთაისს გადის 10 ს. 10 წ. და ქუთაისში ჩადის 10 ს. 35 წ.

რიონიდგან ქუთაისსვე გადის მატარებელი დილის 5 ს. 30 წ., ქუთაისს ჩადის 5 ს. 55 წ., ქუთაისიდგან რიონს გამოდის დღის 5 ს. 20 წ., რიონში ჩადის 5 ს. 45 წ.

შორაპან-რიონი. შორაპნიდგან გადის დილის 7 ს., რიონში ჩადის დილის 8 ს. 11 წ., რიონიდგან გადის დღის 2 ს. 53 წ., შორაპანში ჩადის დღის 4 ს. 02 წ. ეს მატარებელი შორაპანსა და ქუთაისს შორის პირდაპირ დადის და მგზავრთ სხვა მატარებელში გადასხდომა არა სჭირდებათ.

### რკინის გზის საავგარაკო მატარებლების მიმოსვლა.

ტფილისსა და გორს შორის: ტფილისიდგან გადის დილის 10 ს. 15 წ., გორში ჩადის ნაშუადღევის 12 ს. 48 წ., გორიდგან გამოდის საღამოს 7 ს., ტფილისში ჩამოდის საღამოს 9 ს. 18 წ.

ტფილისსა და ბორჯომს შორის: ტფილისიდგან გადის ნაშუადღევის 2 ს. 30 წ., გორში ჩადის 4 ს. 58 წ., ხაშურში—საღამოს 6 ს. 29 წ., ბორჯომში—7 ს. 50 წ., ბორჯომიდგან გამოდის ღამის 1 ს. 44 წ., ხაშურში ჩამოდის ღამის 2 ს. 54 წ., გორში—ღამის 4 ს. 33 წ. და ტფილისში—დილის 7 ს. 33 წ.

ტფილისსა და მცხეთას შორის: ტფილისიდგან ორი მატარებელი გადის—ერთი—დილის 8 ს. 20 წ., და მცხეთაში ჩადის დილის 9 ს. 16 წ., მეორე—ტფილისიდგან გადის ნაშუადღევის 5 ს. 20 წ., მცხეთაში ჩადის საღამოს 6 ს. მცხეთიდგანაც ორი მატარებელი მოდის ტფილისისაკენ: პირველი მცხეთიდგან გამოდის დილის 10 ს. 8 წ. და ტფილისში ჩამოდის—10 ს. 52 წ. მეორემცხეთიდგან გამოდის საღამოს 6 ს. 45 წ., ტფილისში ჩამოდის—7 ს. 23 წ.

ბათუმსა და ქობულეთს შორის: ბათუმიდგან სამი მატარებელი გადის: ერთი—დილის 7 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის—დილისვე 8 ს. 15 წ., მეორე—ნაშუადღევის 2 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის 3 ს. 10 წ., მესამე—ნაშუადღევს 5 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის საღამოს 6 ს. 10 წ.; ობულეთიდგანაც სამი მატარებელი მიდის ბათუმს: პირველი—დილის 11 ს. 15 წ. და ბათუმში ჩადის ნაშუადღევის 12 ს. 12 წ., მეორე—ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. და ბათუმში ჩადის 4 ს. 37 წ., მესამე—საღამოს 6. ს. 45 წ. და ბათუმში ჩადის საღამოსავე 7 ს. 40 წ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 28-го Іюля. 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.